



**საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA010131698370618

**31 / აგვისტო / 2018 წ.
854/ს**

2018 წლის 29 აგვისტოს N253 ელექტრონული აუქციონის (ლოტი N01; N02; N03; N04; N05; N06 -სპეციალური ჭრების შედეგად მოპოვებული მერქნული რესურსი - სოჭის და წიფელას ჯიშის I; II; III და IV ხარისხის 80.720 მ³) შედეგების გამოცხადების შესახებ

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 დეკემბრის #50 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სპეციალური ჭრების შედეგად მოპოვებული მერქნული რესურსის I; II; III და IV ხარისხის (სოჭი და წიფელა 80.720 მ³) საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N253) გამოცხადების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტო“-ს უფროსის მოადგილის 2018 წლის 22 აგვისტოს N815/ს ბრძანებისა და ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 29 აგვისტოს N17078/07 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე :

1. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ მიმდინარე წლის 29 აგვისტოს ჩატარებული N253 ელექტრონული აუქციონის (ლოტი N01; N02; N03; N04; N05 და N06 - I; II; III და IV ხარისხის სოჭის და წიფელას ჯიშის მერქნული რესურსი - 80.720 მ³) შედეგებით, ლოტი N01; N02; N03; N04; N05 და N06 გამოვლინდა გამარჯვებული პირი:


1. აუქციონი N253, ლოტი N01 - შპს ჯითიეი კომპანი (204573684) - 18.56 მ³ (III წფ).
2. აუქციონი N253, ლოტი N02 - შპს ჯითიეი კომპანი (204573684) - 24.65 მ³ (IV წფ).
3. აუქციონი N253, ლოტი N03 - შპს ჯითიეი კომპანი (204573684) - 14.07 მ³ (I სჭ-ნძ).
4. აუქციონი N253, ლოტი N04 - შპს ჯითიეი კომპანი (204573684) - 8.76 მ³ (II სჭ-ნძ).
5. აუქციონი N253, ლოტი N05 - შპს ჯითიეი კომპანი (204573684) - 7.50 მ³ (III სჭ-ნძ).
6. აუქციონი N253, ლოტი N06 - შპს ჯითიეი კომპანი (204573684) - 7.18 მ³ (IV სჭ-ნძ).

2. მიენიჭოს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის უფროსს გამარჯვებულის მიერ კანონმდებლობით და აუქციონის პირობებით დადგენილ ვადაში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენის შემდეგ ნასყიდობის ხელშეკრულებასა და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება და დაევალოს, აუქციონის პირობების შესრულებისა და ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, აუქციონში გამარჯვებული პირისათვის შესაბამისი მერქნული რესურსის გადაცემა მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, თანახმად ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვადების დაცვით.

3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. #6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის
მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად 

გრიგოლი ბლიაძე